ტრენინგი ცენტრალური საარჩევნო კომისიის „კონტაქტ-ცენტრის“ ოპერატორებისთვის

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისის იურიდიულ დეპარტამენტთან ერთად უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარებას „კონტაქტ-ცენტრის“ ოპერატორებისთვის.

ტრენინგი განხორციელდება ორ ეტაპად.

I ეტაპი ჩატარდება 2014 წლის 3-4 აპრილს, რომლის ფარგლებში მონაწილეები გაეცნობიან:

- საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსსა და სისტემას;
- საარჩევნო კოდექსის სიახლეებს;
- თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების რეგულირებას (პარტიების/საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია; საინიციატივო ჯგუფების რეგისტრაციის წესი; პარტიული სიების წარდგენა; საკრებულოს წევრობის კანდიდატების წარდგენა; მერობის/გამგებლობის კანდიდატების წარდგენა);
- არჩევნებში ჩართული მხარეებისადა მათი უფლებრივი მდგომარეობას (საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი; დამკვირვებელი ორგანიზაციები და დამკვირვებლები; მედია; ამომრჩეველი და ამომრჩეველთა სიები);
- საარჩევნო დავებსა და მოსარჩელეთა წრეს.

II ეტაპი ჩატარდება 2014 წლის 9-10 ივნისს, რომლის ფარგლებში მონაწილეები გაეცნობიან:

- საუბნო საარჩვნო კომისიის საქმიანობას კენჭისყრის დღემდე პერიოდში (ამომრჩეველთა სიები, კენჭისყრის შენობის მოწყობა)
- საუბნო საარჩვნო კომისიის საქმიანობას კენჭისყრის დღეს
- კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამების საკითხს.